



## მწვანე ალტერნატივა: ხუდონჰესის ელ.ენერჯიის შესასყიდად დადგენილი ტარიფი ძალიან მაღალია

ნათია ამირანაშვილი

ახალი ამბები / საზოგადოება

15 ოქტომბერი, 2015 15:23



„ხუდონჰესთან“ დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას, „Trans Electrica Limit (BVI)“-ს, „Trans Electrica Georgia“ LTD-ს, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2011 წლის 28 აპრილს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილება შევიდა.

ცვლილებების მიხედვით, საქართველოს მთავრობა „ხუდონჰესის“ მიერ

გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული რეალიზაციის ვალდებულებას იღებს. მცესპლუატაციაში შესვლიდან 15 წლის განმავლობაში რეალიზაცია სრულად განხორციელდება სს ელექტროენერჯეტიკული სისტემების კომერციულ ოპერატორ ქვემოთ მოცემული ტარიფების მიხედვით:

წლების რაოდენობა ეცსპლუატაციაში მიღებიდან	ტარიფი: აშშ დოლარი კვტ/სთ
1	10,50
2	10,50
3	10,50
4	10,50
5	10,50
6	10,25
7	10,25
8	10,25
9	9,75
10	9,75
11	9,50
12	6,00
13	5,00
14	5,00
15	5,00

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენლმა, ირაკლი მაჭარაშვილმა „ლიბერალს“ უთხრა, რომ მოცემული ტარიფი მაღალია და თუ ის სამომხმარებლო ტარიფში აისახა, დენი აუცილებლად გაძვირდება.

„ჩვენი ტარიფი შედარებით დაბალია იმის ხარჯზე, რომ მის დიდ ნაწილს შეადგენს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი „ენგურჰესიდან“ და „ვარდნილჰესიდან“ მიღებულ ელექტროენერჯია, რომლის ღირებულება 1.187 და 1,17 თეთრია. „ხულონჰესის“ ენერჯის შესყიდვა სახელმწიფოს 10.5 ცენტად ანუ დაახლოებით 25 თეთრად მოუწევს. ამის ასახვა სამომხმარებლო ტარიფში, ბუნებრივია, გაგვიძვირებს ტარიფს არის ბევრად ძვირი იმაზე, რა ფასადაც ვიღებთ დენს თბოელექტროსადგურიდან რომელსაც ფლობს რუსული კომპანია, ასევე რუსეთიდან იმპორტირებულ დენის ტარიფზე“, - აცხადებს მაჭარაშვილი.

მაჭარაშვილის თქმით, ის ფაქტი, რომ შესასყიდი ფასი დაფიქსირებულია დოლარში,

ხოლო ქართული მხარე მას ლარში ყიდულობს, „ეს ნიშნავს, რომ ლარის გაუფასურების შემთხვევაში, დენი კიდევ უფრო მეტად გაძვირდება“.

მისივე თქმით, ის, რომ მთავრობა ვალდებულებას იღებს, აუცილებლად შეისყიდოს ელექტროენერჯია ამ კომპანიისგან, ნიშნავს, რომ უმცირებს მას კომერციულ რისკს და, პრაქტიკულად, ქვეყნის ბიუჯეტიდან ახდენს პროექტის სუბსიდირებას.

„ლიბერალთან“ საუბრისას „ტრანს-ელექტრიკის“ ტექნიკური ხელმძღვანელი დავი მირცხულავა აცხადებდა, რომ კომპანია „ხუდონჰესის“ მშენებლობის დაწყებას 201 წლიდან აპირებს. მისი თქმით, წინა მოსამზადებელი სამუშაოები 2016 წლიდან დაიწყება, მშენებლობა კი 2022 წელს დასრულდება.

„ინვესტორი კომპანია იღებს ვალდებულებას, შესაბამისი უწყებებიდან მოიპოვოს გარემოზე გემოქმედების შეთავსების ანგარიშზე დასკვნა და მშენებლობის ნებართვ საბოლოოდ მშენებლობის დაწყებისთვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია წარადგინოს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში 2017 1 მაისამდე“, - ამის შესახებ კი ენერჯეტიკის სამინისტროში აცხადებენ.

„ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების თანახმად, მშენებლობის დროს დასაქმებული ადამიანების 75% ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები უნდა იყვნენ, სახელმწიფოს მიეცა უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს - მშენებლობის დაწყებამ პროცესში თუ დასრულების შემდეგ, შეიძინოს 20% და გახდეს მისი მფლობელი“, - აცხადებს ენერჯეტიკის მინისტრი ვახა ვალაძე.

სამინისტროს ცნობითვე, ინვესტორი კომპანია ვალდებული იქნება, მემორანდუმში ცვლილებების შეტანიდან 3 თვის ვადაში, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, დააფუძნოს ახალი კომპანია, რომლის დამფუძნებელთა ვინაობა საჯარო იქნება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები მას სრულად გადასცეს.

აღსანიშნავია, რომ ინვესტორი კომპანია Trans Electrica Limited (BVI) ე.წ. ოფშორ ბონაში, ვირჯინიის კუნძულებზე 2008 წელს არის რეგისტრირებული.

**ამავე თემაზე: ინვესტორი კომპანია „ხუდონჰესის“ მშენებლობის დაწყებას 2017 წლიდან გეგმავს**